საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად გაცნობებთ, თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 89 განცხადება, რომელებიც სრულად დაკმაყოფილდა.

ასევე გაცნობებთ, რომ:

- თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება არ შემოსულა;
- თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საჯარო მონაცემთა ბაზებისა და პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და სხვისთვის გადაცემა არ მომხდარა;
- თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისა და დისციპლინარული სახდელის დადების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა;
- თელავის მუნიციპალიტეტში საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით მიღებული არცერთი გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თამარ ზაზანაშვილი.